მარინა მეფარიშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

საერთოსემიტური წარმომავლობის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ძირები

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც ეხება სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ერთ თემატურ ϫგუფში გაერთიანებულ საერთოსემიტური წარმომავლობის ძირების ანალიზს. კერძოდ, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ადამიანისა და ცხოველის სხეულის კონტურის განმსაზღვრელი ნაწილების აღმნიშვნელი ლექსემების თემატური ქვეϫგუფი, რომელიც იერარქიულად უფრო ფართო, სხეულის ნაწილების ლექსიკურ-სემანტიკურ ϫგუფს მიეკუთვნება. საზოგადოდ, ლექსიკურ-სემანტიკური ხასიათის კვლევები მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის როგორც ისტორიულ-შედარებითი, ისე ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. განხილული მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია რამოდენიმე ერთეული ძირებისა, რომლებიც ხასიათდებიან ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, შედეგად, შესაძლებელია ექვსი მათგანის აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე შემდეგი მნიშვნელობებით: *'თითი', ' კუდი', რქა', 'ზურგი', 'მკერდი, ძუძუ'* და *'მუცელი'*. ეს მნიშვნელობები გადმოცემულია შემდეგი საერთოსემიტური ძირებით: საერთოსემიტური *'ṣb' – *'თითი'*, საერთოსემიტური *qrn - *'რქა'*, საერთოსემიტური *d̲nb – *'კუდი'*, საერთოსემიტური * t̲dy - *'მკერდი, ძუძუ'*, საერთოსემიტური * ṯ̣hr – *'ზურგი'* და საერთოსემიტური *krŝ - *'მუცელი'*.

საკვანძო სიტყვები: *საერთოსემიტური, სხეულის ნაწილები, თითი, კუდი, რქა, ზურგი, მკერდი, ძუძუ, მუცელი*

1. კვლევის თემა და მიზანი:

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც ეხება სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ერთ თემატურ ϫგუფში გაერთიანებულ საერთოსემიტური წარმომავლობის ძირების ანალიზს. მიმდინარე ეტაპზე ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ადამიანისა და ცხოველის სხეულის კონტურის განმსაზღვრელი ნაწილების აღმნიშვნელი ლექსემების თემატური ქვეϫგუფი, რომელიც იერარქიულად უფრო ფართო, სხეულის ნაწილების ლექსიკურ-სემანტიკურ ϫგუფს მიეკუთვნება. უფრო ადრე ანალოგიური ხასიათის კვლევები ჩავატარეთ სხვა თემატურ ქვეϫგუფზე, სადაც განვიხილეთ მყარი

და დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების აღმნიშვნელი საერთოსემიტური ძირები.[1]

საზოგადოდ, ლექსიკურ-სემანტიკური ხასიათის კვლევები მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის როგორც ისტორიულ-შედარებითი, ისე ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარ შეპირისპირებით მასალაზე მუშაობისას პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული ლექსიკურ ერთეულებს შორის არსებული რეგულარული ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისები. ნაშრომის მიზანი იყო, გამოვლენილიყო ძირები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მათი აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე იმ მნიშვნელობით, რაც უკავშირდებოდა განსახილველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს.

2. სხეულის კონტურის განმსაზღვრელი ნაწილების აღმნიშვნელი ძირები სემიტურში:

განხილული საკვლევი მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამოდენიმე ერთეული ძირებისა, რომლებიც ხასიათდებიან ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, რის საფუძველზეც შესაძლებელია ექვსი მათგანის აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე შემდეგი მნიშვნელობებით: *'თითი' 'კუდი', 'რქა', 'ზურგი', 'მკერდი, ძუძუ', 'მუცელი'*. აღნიშნული მნიშვნელობები 'თითი', გადმოცემულია შესაბამისი ექვსი საერთო-სემიტური წარმომავლობის ძირით. წარმოვადგინოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

3. * <u>d</u>nb „კუდი"

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში *'კუდი'* შემდეგნაირადაა განმარტებული: „ცხოველის სხეულის მოძრავი დანამატი, კუდუსუნის ძვლის გაგრძელება".[2] სავარაუდოა, რომ *„კუდი"*, ცოცხალი ორგანიზმის სხეულის ძვლოვანი წარმონაქმნი, არქაული, ბაზისური ლექსიკის პლასტს უნდა განეკუთვნებოდეს, ამიტომ დაიძებნა ამ მნიშვნელობის მქონე ძირები სხვადასხვა სემიტურ ენებში. ენობრივი მასალის შეპირისპირებისა და ანალიზის შედეგად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ *„კუდის"* სემანტიკა გადმოცემულია <u>d</u>nb ძირით, რომელიც საერთოსემიტური წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული ძირი გამოირჩევა ფართო გავრცელებით, იგი ამ მნიშვნელობით დასტურდება ჩრდილოარაბულში, ებრაულში, აქადურში, უგარიტულში, არამეულში, ეთიოპურსა და სამხრეთარაბულში. დავძენთ, რომ ძირითადი მნიშვნელობის გვერდით გვხვდება ასევე ნაწარმოები უარყოფითი კონოტაციის მქონე მნიშვნელობებიც, როგორიცაა: 'ცოდვა', 'უკან დარჩენა, ჩამოტოვება, უკან გაგდება, გარეკვა' და სხვ.

---

[1] მ. მეფარიშვილი, მყარი და დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XIII, თბ., 2021.

[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, (ქეგლ), საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ენათმეცნ. ინსტ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1086. 271.

რაც შეეხება ძირის შემადგენელ რადიკალებს, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე და ბოლოკიდური ძირეულები - დენტალური ნაზალური სონორი n და მჟღერი ბილაბიალური ხშული b - სემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში სტაბილურობით გამოირჩევიან და ანალოგიური რეფლექსებით არიან წარმოდგენილი ყველა ენაში. თავკიდურ პოზიციაში კი არის მჟღერი ინტერდენტალური სპირანტი d,რომელიც უცვლელადაა წარმოდგენილი არაბულში, ეპიგრაფიკულ და ახალ სამხრეთარაბულ ენებში, ებრაულში, აქადურსა და ეთიოპურში იგი ჩანაცვლებულია მჟღერი ალვეოლარული z სიბილანტით, ხოლო არამეულსა და სოკოტრიში მისი შესატყვისია მჟღერი დენტალური ხშული d.[3] საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ:[4]

სემიტ. * dnb *'კუდი '* > *'ცოდვა'*

არაბული danab *'კუდი '*, danb 'ცოდვა', ებრაული zanab *'კუდი '*, აქადური zumba-tu/ zinba-tu *'კუდი '*, არამეული (იუდეური) danba *'კუდი '*, არამეული (სირიული) dunba, უგარიტული š2nb-t 'კუდი', ეთიოპ. (გეეზი) zanab *'კუდი '*, ეთიოპ. (ტიგრე) zaanaba 'ჩამორჩა, უკან დარჩა' , ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული dnb *'განდევნა, გარეკა, უკან ჩამოიტოვა მოწინააღმდეგე '*, ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი) denob *'კუდი'* და deneb 'ცოდვა', ასა (მეჰრი) deneb *'კუდი '*, ასა(შაჰრი) dunub, ასა (სოკოტრი) dinob *'კუდი '*.

4. * qrn „რქა"

ადამიანისა და ცხოველის სხეულის კონტურის განმსაზღვრელი ნაწილების აღმნიშვნელი ლექსემების თემატურ ქვეჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ასევე 'რქა',რომელიც ასევე წარმოადგენს მყარ შემაერთებელ ქსოვილს, ანუ ძვლოვან სტრუქტურას. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში *'რქა'* შემდეგნაირადაა განმარტებული: „მაგარი ძვლოვანი წარმონაქმნი ზოგიერთი ცხოველის თავზე".[5] ვინაიდან *„რქა"* ცოცხალი ორგანიზმის სხეულის ძვლოვანი წარმონაქმნია, იმავდროულად იგი, სავარაუდოდ, არქაული, ბაზისური ლექსიკის პლასტს უნდა განეკუთვნებოდეს. ენობრივი მასალის შეპირისპირებისა და ანალიზის შედეგად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ *'რქის'* სემანტიკა გადმოცემულია **qrn** ძირით, რომელიც საერთოსემიტური წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული ძირი გამოირჩევა ფართო გავრცელებით, იგი ამ მნიშვნელობით დასტურდება ჩრდილოარაბულში, ებრაულში, აქადურში, უგარიტულში, არამეულსა და სამხრეთარაბულში.

---

[3] მ. მეფარიშვილი, სემიტურ ენათა ისტორიული გრამატიკა, ნაწილი I, ფონეტიკა, ფონოლოგია, თბილისი, 2008. გვ. 79-80, აგრეთვე M. Meparishvili, The Proto-Semitic Sibilants, (Budapest, 1089), Proceedings of the SPEECH RESEARCH '89, International Conference, June 1-3, 1089, Budapest, edited by Tamas Szende, 100

[4] სემიტური ენების შეპირისპირებითი მასალა მოძიებულია და ამოღებული შემდეგი ორენოვანი ლექსიკონებიდან: W. Leslau, Etymological Dictionary of Harari, Berklay& Los Angeles, 1963; E. Littman and M. Höffner, Wörterbuch der Tigre-Sprache, Wiesbaden, 1962; T.M. Johnstone, Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List, London, New York, Toronto, 1977, Oxford University Press; L. Koehler, A Dictionary of the Hebrew Old Testament in English and German, W. Baumgartner, A Dictionary of the Aramaic Parts of the Old Testament in English and German, Leiden, 1958; J. Aisleitner, Wörterbuch der Ugaritischen Sprache, Berlin, 1967; Biberstein-Kazimirski A. Dictionnaire arab-francais, Paris, 1960, etc.

[5] ქეგლ, op. cit. 380.

რაც შეეხება ძირის შემადგენელ რადიკალებს, სამივე მათგანი გამოირჩევა სტაბილურობითა და შესატყვისების იდენტურობით, რომლებიც ემთხვევა პრაფონემის ფონეტიკურ მნიშვნელობებს. თავკიდურ პოზიციაში წარმოდგენილია უვულარული ყრუ ხშული ფონემა q, მეორე რადიკალია შუალედურ პოზიციაში პრეპალატალური ვიბრანტი სონორი r, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაშია დენტალური ნაზალური სონორი n.

საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ ენაში დადასტურებული ფორმის განმარტება. მაგ., ჰარარიში ბოლოკიდურ პოზიციაში n იკარგვის, რაც ვ. ლესლაუს აზრით, ამ ენაში გავრცელებული მოვლენაა, ასევე საყურადღებოა ამჰარული ფორმა qand, რომელიც, იმავე ავტორის აზრით, ასახავს ერთდროულად ორ კომბინატორულ ცვლილებას: მეტათეზისსა და r-სა და n-ს დისიმილაციას, რასაც ჩვენც ვიზიარებთ.[6] ასევე უნდა აღინიშნოს ასა ენებში მეორე ძირეული r-ს ამოვარდნის ტენდენცია, შაჰრისა და სოკოტრიში იგი სრულიად დაკარგულია, ხოლო ჰარსუსისა და მეჰრიში გვაქვს ორ-ორი ფორმა, როგორც სამ თანხმოვნიანი, ისე მეორე ძირეულნაკლულიც. ამგვარად, სამთანხმოვნიანი ძირი qrn „რქის“ სემანტიკის გამომხატველია და ეჭვს არ იწვევს მისი საერთოსემიტური წარმომავლობა.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ:

სემიტ. * qrn *‘რქა’*

არაბული qarn ‘*რქა*’, ებრაული qeren *‘რქა’*, უგარიტული qrn, აქადური qarnu, არამეული qarna, ეთიოპ. (გეეზი) qarn, ეთიოპ. (ტიგრინია) qarni, ეთიოპ. (ჰარარი) qar, ეთიოპ. (ამჰარული) qand (qarn>qand), ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი) qeron და qon, ასა (მეჰრი) qon და qeron, ასა(შაჰრი) qun, ასა (სოკოტრი) qan.

5. *‘ṣb‘ *‘თითი’*

ამავე ლექსიკურ-სემანტიკურ თემატურ ϰგუფს მიეკუთვნება საერთოსემიტური წარმომავლობის ძირი *‘ṣb‘ *‘თითი’*-ს ზოგადი მნიშვნელობით,(ფეხისა და ხელის თითი დიფერენცირებული არ არის). აღნიშნული ძირი გამოირჩევა ფართო გავრცელებით, იგი ამ მნიშვნელობით დასტურდება ჩრდილოარაბულში, ებრაულში, უგარიტულში, არამეულში, ეთიოსემიტურსა და სამხრეთარაბულში- როგორც ეპიგრაფიკულ, ისე ასა-ში. აღნიშნული ძირი საინტერესოა იმითაც, რომ ესაა ოთხთანხმოვნიანი სახელადი ძირი. რაც შეეხება შემადგენელ რადიკალებს, აქ წარმოდგენილია პირველ ძირეულად გლოტალური მაგარი შემართვა, მეორე ძირეულია ყრუ გლოტალიზებული ალვეოლარული სიბილანტი ṣ, მესამეა მჟღერი ლაბიალური ხშული b, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაშია მჟღერი ფარინგალური სპირანტი ‘. რაც შეეხება მათ შესატყვისებს, დამატებით განვმარტავთ, რომ ალვეოლარული გლოტალიზებული სიბილანტი ṣ სტაბილურობით გამოირჩევა არაბულში, არამეულში, აქადურში, ებრაულში, სამხრეთარაბულსა და ჩრდილო-ეთიოპურში, ამჰარულსა და ჰარარიში კი მისი სუბსტიტუტია გლოტალიზებული დენტალური ṭ.[7] ილუსტრაცია:

სემიტ. ‘ṣb‘ *‘თითი’*

არაბული ‘aṣbi‘ *‘თითი’*, ებრაული ‘eṣba‘ *‘თითი’*, უგარიტული ‘ṣb‘, ბიბლიის არამეული ‘eṣba‘\ ‘iṣba‘, არამეული (სირიული) ṣeb‘a, ეთიოპ. (გეეზი) ‘aṣba‘-t *‘თითი’*, ეთიოპ. (ტიგრინია) ‘aṣabe‘, ეთიოპ. (ტიგრე) ṣceb‘-et, ეთიოპ. (ჰარარი) aṭabinna,

[6] Leslau, op. cit. 128 and 77.

[7] მეფარიშვილი (2008) . op. cit. 93-95; აგრეთვე Meparishvili (1989) op. cit.101.

ეთიოპ. (ამჰარული) ṭa –t \ ṭaba-t *‘თითი’*, ეთიოპ.(გაფატი) ‘ṣa-ta’, ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული ‘ṣb‘-m *‘თითები’*, ასა (ჰარსუსი) ha-ṣba’ *‘თითი’*, ასა (მეჰრი) ṣeba’, ასა(შაჰრი) ‘eṣba‘, ასა (სოკოტრი) ‘eṣba‘ *‘თითი’*.

6. *krŝ *‘მუცელი’*

კიდევ ერთი ძირი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ლექსიკურ-სემანტიკურ თემატურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება, არის პროტოსემიტურ დონეზე აღდგენილი krš მნიშვნელობით *‘მუცელი’*. აღნიშნული ძირი წინამორბედების მსგავსად გამოირჩევა ფართო გავრცელებით, იგი ამ მნიშვნელობით დასტურდება ყველა შტოში, კერძოდ, ჩრდილოარაბულში, აქადურში, ებრაულში, უგარიტულში, არამეულში, ეთიოსემიტურსა და სამხრეთარაბულში. რაც შეეხება შემადგენელ რადიკალებს, აქ წარმოდგენილია პირველ ძირეულად ყრუ უვულარული ხშული k, მეორე ძირეულია ვიბრანტი r, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაშია ყრუ ლატერალური სიბილანტი ŝ. პირველი და მეორე რადიკალები სემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში სტაბილურობით გამოირჩევიან, მათი შესატყვისები ყველა ენაში უცვლელად გადადის და ემთხვევა პრაფონემის ფონეტიკურ მნიშვნელობებს. ბოლოკიდურ პოზიციაში კი დგას ყრუ ლატერალური სიბილანტი ŝ, რომელსაც ლატერალური წარმოთქმა შენარჩუნებული აქვს მხოლოდ სამხრეთარაბულ ენებში (რეფლექსი ś), არაბულში, ეთიოსემიტურში, უგარიტულში, აქადურში გვაქვს შიშინა პრეპალატა-ლური სიბილანტი š, არამეულ ენებში კი - ალვეოლარული სისინა s, ებრაულში მას შეესატყვისება გრაფემა „სინ“-ით აღნიშნული ბგერა (ტრანსკრიფციაში ś), რომელიც დიაქრონიაში სისინა s-ს წარმოთქმას შეერწყა.[8] ილუსტრაცია:

სემიტ. * krŝ ‘*მუცელი’*

არაბული karš *‘მუცელი’*, ებრაული kareś *‘მუცელი’*, აქადური karšu \\ karašu , არამეული (სირიული) karasa *‘მუცელი’*, ეთიოპ. (გეეზი) karš *‘მუცელი, ღიპი, ფაშვი’*, ეთიოპ. (ტიგრინია) karš *‘გასუქდა’*, ეთიოპ. (ტიგრე) karš *‘მსუქანი, ქონიანი’*, ასა (ჰარსუსი) kereś *‘მუცელი’*, ასა (მეჰრი) kereś, ასა(შაჰრი) šurś, ასა (სოკოტრი) šereś. დავძენთ, რომ შაჰრისა და სოკოტრიში ადგილი აქვს მათთვის დამახასიათებელ თავკიდური k-ს პალატალიზაციას k>š.

7. *<u>t</u>dy *‘ მკერდი, ძუძუ’*

მომდევნო ძირი, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს ჩვენთვის საინტერესო ლექსიკურ-სემანტიკურ თემატურ ქვეჯგუფში, არის პროტოსემიტურ დონეზე აღდგენილი *<u>t</u>dy მნიშვნელობით *‘ძუძუ, მკერდი’*. აღნიშნული ძირი წინამორბედების მსგავსად გამოირჩევა ფართო გავრცელებით, იგი ამ მნიშვნელობით დასტურდება ჩრდილოარაბულში, ებრაულში, უგარიტულში, არამეულსა და სამხრეთარაბულ ენებში. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ეთიოსემიტური. რაც შეეხება ძირის შემადგენელ რადიკალებს, აქ წარმოდგენილია პირველ ძირეულად ყრუ ინტერდენტალური სიბილანტი <u>t</u>, მეორე ძირეულია მჟღერი დენტალური d, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაშია აპროქსიმანტი y. მეორე და მესამე რადიკალები სემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში სტაბილურობით გამოირჩევიან, მათი შესატყვისები ყველა ენაში უცვლელად გადადის და ემთხვევა პრაფონემის ფონეტიკურ მნიშვნელობებს. თავკიდურ პოზიციაში მდგომი <u>t</u> კი იძლევა შემდეგ რეფლექსებს: პრაფონემა უცვლელად, იდენტური ფონეტიკური

[8] მეფარიშვილი (2008) . op. cit. 101-105; აგრეთვე Meparishvili (1989) op. cit.101.

მნიშვნელობით წარმოდგენილია არაბულში, უგარიტულსა და სამხრეთარაბულ ენებში გარდა სოკოტრისა, რომელშიც, ისევე როგორც არამეულში, მისი შესატყვისია ყრუ დენტალური ხშული t, ებრაულში და აქადურში მისი შესატყვისია შიშინა š, ხოლო ეთიოპურში - სისინა s.[9] ილუსტრაცია:

სემიტ. t̲dy *'ძუძუ, მკერდი'*

არაბული t̲ady *'ძუძუ, მკერდი'*, ებრაული šad *'ძუძუ, მკერდი'*,უგარიტული t̲ d *'ძუძუ, მკერდი'* , არამეული (სირიული) teda *'ძუძუ, მკერდი'*, ასა (ჰარსუსი) t̲odi *'ძუძუ, მკერდი'*, ასა (მეჰრი) t̲odi, ასა(შაჰრი) t̲ode', ასა (სოკოტრი) todi.

8. *ṯhr *' ზურგი'*

ბოლო ძირია პროტოსემიტურ დონეზე აღდგენილი *ṯhr მნიშვნელობით *'ზურგი'*. იგი წინამორბედების მსგავსად გამოირჩევა ფართო გავრცელებით, ის ამ მნიშვნელობით დასტურდება ჩრდილოარაბულში, ებრაულში, უგარიტულში, არამეულსა და სამხრეთარაბულ ენებში. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ეთიოსემიტური. რაც შეეხება ძირის შემადგენელ რადიკალებს, აქ წარმოდგენილია პირველ ძირეულად ყრუ გლოტალიზებული ინტერდენტალური სიბილანტი ṯ, მეორე ძირეულია ლარინგალური h, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაშია ვიბრანტი r. მეორე და მესამე რადიკალები სემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში სტაბილურობით გამოირჩევიან, რაც შეეხება თავკიდურ ṯ-ს, იგი საგანგებო კომენ-ტარებს საჭიროებს. ეს არის მარკირებული ფონემა და სემიტურ ენებში მას ფონეტიკურად სახეცვლილი შესატყვისები შეესაბამება. არაბულსა და უგარიტულში ესაა გამჟღერებული "ემფატიკური" i, სამხრეთარაბულში მას შენარჩუნებული აქვს გლოტალიზაციაც და ინტერდენტალური წარმოთქმაც (j), ებრაულსა და ჩრდილო¬ეთიოპურში მისი შესატყვისია გლოტალიზებული ყრუ სიბილანტი ṣ, სოკოტრისა და არამეულში კი - გლოტალიზებული დენტალური ხშული ṭ.[10] საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძირს მოეპოვება ალოთეტური ძირიც, რომლის პირველი ძირეული ṯ-ს ნაცვლად არის უკიდურესად მარკირებული გლოტალიზებული ლატერალური სიბილანტი ¾, მას ასა-ში გლოტალიზაცია დაკარგული აქვს, სამაგიეროდ შენარჩუნებული აქვს ლატერალური წარმოთქმა (ź), არაბულში მას შეესატყვისება "დადი".[11] წარმოვადგინოთ ილუსტრაცია:

სემიტ. ṯhr *' ზურგი'*

არაბული -iahr *'ზურგი'*, -i uhr *'შუადღე'*, ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული ihr *'ზურგი'*, ასა (ჰარსუსი) –jahr *'აქლემის ზურგი; ზურგი; შუადღე'*, ასა (მეჰრი) jahr *'შუადღე'*, ასა(შაჰრი) johr, ასა (სოკოტრი) ṭhar *'ზემოთ, ზემოთა'*, ებრაული ṣohar *'ზედა, ზემოთა ნაწილი'*, ṣahara-im *'შუადღე'*, უგარიტული -i r *'ზურგი'*, არამეული (სირიული) ṭahra *'შუადღე'*, აქადური ṣeru *'ზურგი'*.

(2) \\ ¾hr - ალოთეტური ძირი

ასა (ჰარსუსი) źahr *' ზურგი'*, ასა (მეჰრი) źaher *'ზურგი'*, ასა(შაჰრი) źehr *'აქლემის ზურგი'*; ებრაული ṣahar *'ზურგი, თავსახური (მაგ.ყუთის)'*.

9. დასკვნა

---

[9] მეფარიშვილი (2008) . op. cit. 81-82,88; აგრეთვე Meparishvili (1989) op. cit.100.

[10] მეფარიშვილი (2008) . op. cit. 82-88; აგრეთვე Meparishvili (1989) op. cit.101.

[11] მეფარიშვილი (2008) . op. cit. 105-112; აგრეთვე Meparishvili (1989) op. cit.102.

ამგვარად, ზემოთ განხილული მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გამოვლენილია რამოდენიმე ერთეული ძირებისა, რომლებიც ხასიათდებიან ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, რის საფუძველზეც შესაძლებელია ექვსი მათგანის აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე შემდეგი მნიშვნელობებით: *'თითი', 'კუდი'*, *'რქა', 'ზურგი', 'მკერდი, ძუძუ', 'მუცელი'*. ეს მნიშვნელობები გადმოცემულია შემდეგი საერთოსემიტური ძირებით: საერთოსემიტური *'ṣb' – *'თითი'*, საერთოსემიტური *qrn - *'რქა'*, საერთოსემიტური *d̲nb – *'კუდი'*, საერთოსემიტური *t̲dy - *'მკერდი, ძუძუ'*, საერთოსემიტური *ṯ̣hr – *'ზურგი'* და საერთოსემიტური *krŝ - *'მუცელი'*.

დამოწმებული ლიტერატურა - References

მეფარიშვილი, მ. *სემიტურ ენათა ისტორიული გრამატიკა, ნაწილი I, ფონეტიკა, ფონოლოგია*. თბილისი, 2008.

მეფარიშვილი, მ. მყარი და დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* XIII, თბილისი, 2021.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, (ქეგლ). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ენათმეცნ. ინსტ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986.

Aisleitner J. *Wörterbuch der Ugaritischen Sprache*. Berlin: Akademie Ferlag, 1967.

Biberstein-Kazimirski, A. *Dictionnaire arab-français*. Paris, 1960.

Johnstone, T. M. *Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List*. London, New York, Toronto: Oxford University Press, 1977.

Koehler, L. *A Dictionary of the Hebrew Old Testament in English and German*. *Baumgartner, W. A Dictionary of the Aramaic Parts of the Old Testament in English and German*. Leiden, 1958.

Leslau W. Etymological Dictionary of Harari, Berklay& Los Angeles, 1963.

Littman, Enno, and Höffner, Maria. Wörterbuch der Tigre-Sprache, Wiesbaden, 1962.

Meparishvili M. *The Proto-Semitic Sibilants*. (Budapest, 1989), *Proceedings of the SPEECH RESEARCH '89*, edited by Tamas Szende.International Conference, June 1-3, 1989, Budapest.

Meparishvili M, Comparison of Proto-Semitic Phonological System with modified Systems in different Semitic Languages. *The Near East and Georgia*, VIII, Tbilisi, 2014.

Meparishvili M.The Denotation of the hard and flexible Connective Tissues in Semitic Languages. *The Near East and Georgia*, XIII, Ilia State University. Tbilisi, 2021.

Moskati, A., Spitaler, E., Ullendorf, W., Von Soden.W. *An Introduction to the comparative Grammar of the Semitic Languages, Phonology and Morphology*. Wiesbaden, 1964.